



**ქ. თბილისში შპს „საქაერონავიგაციის“ კუთვნილ ტერიტორიაზე
მდებარე ავტომეურნეობის შენობაზე მიშენების საპროექტო
დოკუმენტაციის შესყიდვის შესახებ საკონკურსო განცხადება**

საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2014 წელი

საკონკურსო განცხადება

1. შ.პ.ს. „საქაერონავიგაცია“ აცხადებს კონკურსს ქ. თბილისში შპს „საქაერონავიგაციის“ კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე ავტომეურნეობის შენობაზე (შენიშვნა: ამჟამად შენობა გამოიყენება საოფისედ) მიშენების საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
 2. კონკურსის მიზანია ქ. თბილისი, აეროპორტი №0198 შ.პ.ს. „საქაერონავიგაციის“ კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე ავტომეურნეობის შენობაზე მიშენების საუკეთესო პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. კლასიფიკატორის კოდი (CPV) 71242000.
 3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 40 000.00 (ორმოციათასი) ლარს (დღგ-ს გარეშე).
 4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([HTTP://PROCUREMENT.GOV.GE](http://procurement.gov.ge)).
 5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
 6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
 7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
 8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
- შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

10. გამარჯვებულ კონკურსანტთან ანგარიშსწორება იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა საპროექტო დოკუმენტის წარმოდგენის, სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ხარჯთაღრიცხვის (საბოლოო ხარჯთაღრიცხვა არ უნდა აღემატებოდეს 1 500 000.00 ლარს) პროექტთან შესაბამისობაზე ექსპერტიზის გავლისა (შენიშვნების შემთხვევაში მათი გამოსწორებით) და დადებითი დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

ანგარიშსწორება გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 კალენდარულ დღეში.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 2 ივნისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი №0198 შ.პ.ს., „საქაერონავიგაციის“ ავტომეურნეობის შენობის I სართულზე, შპს „საქაერონავიგაციის“ ოფისში, კანცელარიაში.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა

1. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ექსპერიერის დიზაინის არსებულ გარემოსთან თავსებადობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა (გენგეგმა ტერიტორიის კეთილმოწყობის,ავტოსადგომის და შენობის გადახურვის გეგმის ჩვენებით: ავტოსადგომი, სარეკრეაციო ზონა, საფეხმავლო ბილიკები, გარე განათება და გამწვანება, ფასადები (ზომებით, ნიშნულებით, გამოსაყენებელი მასალების მითითებით: კოეფიციენტი – 0.5;

- შიდა გეგმარება და ავეჯის განლაგება: სართულის გეგმები (ზომებით და ფართობებით) და შიდა გეგმარება ავეჯის განლაგებით (ზომების და ფართობების ჩვენებით): კოეფიციენტი – 0.4;

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.1.

2. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

- განმარტებითი ბარათი, ტექნიკურ/ეკონომიკური მაჩვენებლებით (არაუმეტეს 2 ფურცელი);
- შენობის 3D ვიზუალიზაცია (რენდერი: 2 დღის და 2 ღამის ხედით) 2 ფოტომონტაჟი, ფასადზე გამოსაყენებელი მასალების მითითებით (შენიშვნა: ფასადზე არ უნდა იყოს ხილვადი გათბობა-გაგრილების აგრეგატები);
- 2. გენგეგმა ტერიტორიის კეთილმოწყობის, ავტოსადგომის და შენობის გადახურვის გეგმის ჩვენებით (ავტოსადგომი, სარეკრეაციო ზონა, საფეხმავლო ბილიკები, გარე განათება და გამწვანება).
- 3. სართულის გეგმები (ზომებით და ფართობებით) და შიდა გეგმარება ავეჯის განლაგებით (ზომებით და ფართობებით).
- 3. ფასადები (ზომებით, ნიშნულებით და გამოსაყენებელი მასალების მითითებით).
- 4. ჭრილები (ზომებით და ნიშნულებით).
- 5. რეკვიზიტები დანართის შესაბამისად.
- 6. საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს გარეშე).

შენიშვნა:

- ა. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია CD-ზე PDF-ფორმატის ფაილით.
- ბ. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- გ. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.
- დ. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
- ვ. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირებისგან:

ზურაბი დავითულიანი +(995) 598 00 1600;

კახაბერ ანდრიაძე +(995) 595 45 11 22;

ქეთევან მეხუზლა 2 744 373.

ტექნიკური დავალება

მიშენების საერთო ფართი საორიენტაციოდ შეადგენს 1000-1200მ² -ს, რომელიც გადანაწილებული იქნება სამ სართულზე . არსებული და საპროექტო შენობებს შორის დაკავშირება II-სართულზე უნდა მოხდეს შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფასადზე არსებული აივნის ადგილას დერეფნის მეშვეობით; ხოლო, I სართულზე ზემოთაღნიშნული დერეფნის ქვემოთ მოეწყოს ჰოლი ორმხრივი შესასვლელით (იხ.დანართი 1). სახურავზე მოეწყოს სარეკლამო განათებული აბრა (ქართულ და ინგლისურ ენებზე შპს „საქაერონავიგაციის“ წარწერით და ლოგოთი; უნდა იყოს ადვილად მისადგომი ექსპლუატაციისთვის).

შემსყიდველის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. სიტუაციური გეგმა (დანართი 2);
2. საპროექტო შენობაში განსათავსებელი თანამშრომლების რაოდენობა (დანართი 3);
3. ტერიტორიის საკადასტრო გეგმა (დანართი 4);
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დანართი 5);
5. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა (დანართი 6);
6. საპროექტო ტერიტორიის მინიშნება (დანართი 7);
7. არსებული შენობის გენგემა და ტერიტორიაზე ამჟამინდელი ავტომობილების პარკირების და გადაადგილების სქემა (დანართი 8);
8. არსებული შენობის სართულის გეგმები (დანართი 9);
9. შპს „საქაერონავიგაციის“ ლოგო (დანართი 10).
10. ხელშეკრულების გაფორმებამდე გამარჯვებულს გადაეცემა გაზმომარაგების, კანალიზაციისა და ელექტრომომარაგების ტექნიკური პირობები.

ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღეში გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს ქვემოთ ჩამოთვლილი საბოლოო საპროექტო დოკუმენტაცია:

მიშენების საპროექტო სამუშაოები:

1. გეოლოგიური კვლევა, დასკვნა;
2. ტოპოგადაღება;
4. ვერტიკალური გეგმარება;
5. არქიტექტურული ნაწილი;
6. კონსტრუქციული ნაწილი;
7. სანტექნიკური ნაწილი (გარე ქსელები-შემსყიდველის მიერ გადაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე, რომელიც მიმწოდებელმა უნდა შეათანხმოს შესაბამის სამსახურებთან);
8. გაზმომარაგება (გარე ქსელები-შემსყიდველის მიერ გადაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე, რომელიც მიმწოდებელმა უნდა შეათანხმოს შესაბამის სამსახურებთან);
9. ვენტილაცია- აირმომარაგების ნაწილი;
10. გათბობა-გაგრილების ნაწილი (ფანკოილებით, სარეგულირო პულტებით);
11. ელექტრო ნაწილი (გარე ქსელები-შემსყიდველის მიერ გადაცემული ტექნიკური პირობის საფუძველზე, რომელიც მიმწოდებელმა უნდა შეათანხმოს შესაბამის სამსახურებთან);
12. სუსტი დენების პროექტი:
 - ა) სახანძრო სიგნალიზაცია;
 - ბ) სატელეფონო ქსელი;
 - გ) სატელევიზიო ქსელი (ინტერნეტ ტელევიზია);
 - დ) კომპიუტერული ქსელი;
13. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.

14. ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია:

- ა) ტერიტორიის კეთილმოწყობის გენგეგმა (სარეკრეაციო ზონა, საფეხმავლო ბილიკები, გარე განათება და გამწვანება);
- ბ) სანიაღვრე წყლების აცილების სქემა;
- გ) ავტოსადგომის და შენობის გადახურვის გეგმა.

15. მშენებლობის დეტალური ხარჯთაღრიცხვა, რომლის პროექტთან შესაბამისობაზე გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა (თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1 500 000.00 ლარს დღგ-ს გარეშე) საავტორო ზედამხედველობის გათვალისწინებით.

შენიშვნა:

- ა) საპროექტო შენობის ელექტრომომარაგება, წყალმომარაგება, სანტექნიკური ნაწილი, გაზომომარაგება დამოუკიდებელი უნდა იყოს არსებული შენობისგან.
- ბ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით ნაბეჭდი ვერსია A3 ფორმატზე 5-ეგზემპლარად (ფერადი).
- გ) ელექტრონული ვერსია CD-ზე PDF-ფაილის სახით.
- დ) საპროექტო დოკუმენტაციის ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.
- ე) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და სტანდარტების დაცვით.
- ვ) პროექტში მაქსიმალურად უნდა იყოს შენარჩუნებული ტერიტორიის გამწვანება, ნარგავები და სტადიონი (საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხეების მოჭრა დასაშვებია).